ტყვიის მომატებული დონის მქონე ბავშვების უმეტესობა ასიმპტომურია, თუმცა ბავშვების ნაწილში შეიძლება აღინიშნოს სხვადასხვა ორგანოების და სისტემების დაზიანება, როგორიცა ცენტრალური ნერვული სისტემა, საჭმლის მომნელებელი სისტემა, სისხლმბადი სისტემა, საშარდე სისტემა, ძვლოვანი სისტემა. ქვემოთ მოყვანილია სიმპტომები და ნიშნები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეიძლება ეჭვი მოვიტანოთ ტყვიით ქრონიკულ ინტოქსიკაციაზე.

ქცევის პრობლემები: ადვილად გაბრაზება, გაღიზიანებადობა, ხასიათის ცვლილებები

სწავლის პრობლემები, განსაკუთრებით მათემატიკასა და ლიტერატურაში

ზრდის ტემპის შენელება

სმენის პრობლემები

თავის ქრონიკული ტკივილი

ანემია

მადის დაკარგვა

მადის გაუკუღმართება

მუცლის ქრონიკული ტკივილი

შეკრულობა

ღებინება

ადვილად დაღლილობა, მოდუნება

ძილის პრობლემები

ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომი

კონცენტრირების უნარის დაქვეითება

ცისფერი ელფერი ღრძილების გარშემო

ტყვიის ნეფროპათია: ჰიპერტენზია